# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 99. | კვირა, 9 მარტი 1903 წ. | გაზეთის № 2091.





რადე
გარდაიცვალა 1 მარტს.

# პატარა მეყვავილე

მატილდა სერაოსი

(თარგმანი იტალიანურიდან)

ვიწრო და მიხვეულ-მოხვეულ სავაჭრო ქუჩაზე ნელის ნაბიჯით მიდიოდა გოგონა, თანაც კედლებს ეკვროდა. დუქნებში არც კი იხედებოდა, მხოლოდ გრძელს ზოლს უყურებდა ცისას, მაღალ სახლებს, ზემოდ რო მოსჩანდა არც იმას უცქეროდა—წინ ვინ ან რა იყო. აკვირდებოდა ქვებს, თითქო სთვლისო. მიცუნცულებდა თავისთვის; თავს არ არიდებდა არც ქუჩის ლაფს, არც გამვლელთა ჯგუფს, არც ეტლს. ჩერილიოს პატარა ეკლესიასთან მივიდა. იმის წინ ქრისტეს ქანდაკება იდგა, წითლად შემოსილი, ეკლის გვირგვინიანი; თვალები ცრემლებით გავსებოდა, ლაწვები და გული აჭრილ სისხლის წვეთებით დასწინწკლოდა. ბავშვმა გულგრილად მიმოავლო თვალი და პირქუშადვე უკან გამობრუნდა.

გოგონა მათხოვარა იყო. შიოდა, სწყუროდა, სციოდა. წვივები უჩანდა, შიშველი ფეხები ჩურჩხელასავით ტალახში ევლებოდა. თებერვლის სუსხში პერანგის ამარა იყო; დახეული და დარღვეული კაბა კანაფით მუცელთან მიემაგრებინა. ყელზე რაღაც ძონძის ნახევი შემოეკრა მანდილსავით. მეტი არაფერი გააჩნდა. ძალზე იყო გამხდარი, თითქმის ჩონჩხად ქცეული. პერანგისა და კაბის ნახევებ ქვეშიდან მოუჩანდა უსისხლო ხორცი, თაფლის სანთელსავით ჩამომდნარი. ყელსახვევის ქვეშიდან მხრების ძვლებს თავი გედგათ, თითქო კანის გახევას ლამობენო. თვალწინ გიდგებოდათ დაავადებული სხეული დაუძლურებულ ბავშვისა. მხრები აეწია, ზურგში მოხრილიყო, სიცივისაგან აბაბანებულ და მუცლის ტკივილისაგან შეწუხებულ ადამიანის მსგავსად. აცრეცილ სახის გამომეტყველება დინჯი და პირქუში ჰქონდა; მოკლე პირი უძრავად მოეკუმა, წვრილი წარბები შეეკრა, დიდრონი თვალები, ქუთუთოებ შემოვლებული, ჩაღრმავებოდა და ჩალურჯებოდა; სახის მკვახე ნაკვთები უკვე ასაკში შესულ ქალს უგავდა. უფერო და უძრავ ტუჩებს კუთხეები ჩავარდნოდა. სულ კი შვიდის წლისა იყო.

ერთს დროს დედაცა ჰყავდა, ისიც გაძვალტყავებული, ისიც მათხოვარა. ორივენი ერთად დადიოდნენ პორტოს გზებზე, ორივენი ერთად დაეძებდნენ მოწყალებას. პურს რომ სჭამდნენ, დასაძინებლად ერთ კიბის ქვეშ მიეყრებოდნენ ჩალაზე, შვილი დედას კალთაში ჩაუდებდა თავს, და დასაძინებლად გაემზადებოდნენ. მერე დედა სახადმა თან გადიტანა. ბავშვი ღვთის ანაბარა დარჩა, ქუჩაში გაგდებული, მარტოდ-მარტო, უთვისტომოდ. დედის სიკვდილზე არც უკივლნია, არც უტირნია. მარტო გამოვიდა სამათხოვროდ, მაგრამ ბედმა ვერ გაუღიმა გოგონას და ვერაფერი იშოვნა; მთელს დღეს არაფერი უჭამნია ღამე ცის ქვეშ გაათია, პორტა-ნოვას ეკლესიის კიბეზე, ძაღლსავით დაგორგოლავებულმა.

სამი წელიწადი ასე გაატარა ბავშვმა. იმის ცხოვრებას ნირი ერთხელაც არ შესცვლია. არაფერი იცოდა, არასფერი ახსოვდა, გარდა გაგრძელებულის დღისა, რომლის განმავლობაში ერთავად უჭმელი იყო და შიოდა. წოწიალს დილიდანვე შეუდგებოდა ხოლმე. სავაჭრო გზა, გრძელი და მიხვეულ-მოხვეული—სახლი იყო გოგონასი. იცნობდა ყველა ამ ქუჩებსა და ბნელ ქუჩაბანდებს, შიშის მომგვრელ შუკებს, ღარიბულსა და ბნელ ჭიშკრებს, მილეულ და რუხვ სინათლით განათებულ და დაფეფხვილ კიბეებს. მიდი-მოდიოდა შეუსვენებლივ. სიარულს პორტა-ნოვას მოედნიდან დაიწყებდა და მოგზაურობას ჩერილიოს ნიშთან გაათავებდა. პორტოს მოედანთან ერთს კი შეჩერებოდა, ნახევრად მოტრიალდებოდა, თვალს მიმოავლებდა კედელზე მიკრულს ძველს კერპს ღმერთ ორიონისას, ხალხი „პეშე ნიკოლას“ რო ეძახის ხოლმე, მერე მეზოკანონისაკენ გაუხვევდა. აქ მღებარნი მუშაობდნენ საზარელ ჯურღმულებში, შავს ქვაბებს გარშემო დასტრიალებდნენ და რაღაც უცნაურ სითხეს ურევდნენ. მათს კარებს წინ მუდამ ქოჩი იდგა გამოღვრილ ლურჯ, წითელ ან კიდევ იისფერ წყლისა. ბავშვიც შიგ მიატ აპუნებდა ფეხებს. აქ რო მოატანდა, სიარულის განგრძობას ვერა ჰბედავდა და ისევ სავაჭრო გზაზე გადმოუხვევდა ერთს გაღებულ სამიკიტნოებშიაც შეიხედავდა: შიგ თევზსა სწვამდნენ და ნაირ-ნაირ მოხრაკულ და მადის აღმძვრელ საჭმელებსა ჰყიდდნენ. მარჯვნივ აცუნცულდებოდა წმ. ბარბარეს ეკკლესიის ჭუჭყიან კიბეზე, მიირბენდა ცნობილ ორცხობილების დუქანთან, მაგრამ მათი დანახვა პირს ნერწყვით გაუვსებდა და ისევ გაიქცეოდა. ქვევით ჩამოსვლისას აბანოს წინ შედგებოდა და დააცქერდებოდა ხელოვნურად გაკეთებულს ქვის აუზს, შიგ წყალი არ იდგა, მაგრამ მწვანე ფოთლებ შორის ამართული იყო ცხვირი; განაგრძობდა ჩერილიომდე სიარულს და მერე უკან გამოტრიალდებოდა ფრთხილის ნაბიჯით. კედლებს აკრული, სულგანაბული თითქო გამვლელ-გამომვლელთა ფეხებს შორის მისცურავდაო.

ეს შავ-ბნელი ქუჩები, ეს სივიწროვე, ეს ნესტიანი სახლები, ეს მყრალი სუნი, საეჭვო ჭიშკრები, მღვრიე სადგბავები, უმზეობა, ეს ხარბი და გაუმაძღარი თვალები ვაჭართა, მათთა ნოქართა ეჭვიანი თვალები, ბრიყვული სახე ზნედაცემულ ქალთა, ეს წვრილი დამტვრიანებული და ალუფხული საქონელი—ყველა ეს მისი ქვეყანა იყო, ნაცნობი და კარგად შესწავლილი ქვეყანა. ბუნდად ჰგრძნობდა, რომ მეზოკანონეს ზევ თ, ჩერილიოს იქით, პრინცესსა მარგარიტას ქუჩის ბოლოს, სხვა ქვეყანაც იყო, მაგრამ ვერ გაებედნა იქითკენაც წასულიყო; რაღაც გარეულ მხეცის შიში იტანდა. ის კი არა, თვით სავაჭრო ქუჩაზედაც ეშინოდა სხვა მათხოვრებისა, რომელნიც უდიერად ექცეოდნენ და მუჯლუგუნებს სთავაზობდნენ ხოლმე; ეშინოდა ძაღლებისა, რომელნიც საკბენად უტევდნენ; ეშინოდა დარაჯებისა, რომელთაც შეეძლოთ დაეჭირათ. მაგრამ ამ შიშს, ასე თუ ისე, თავს აძვრენდა. ზევით კი არაფერს იცნობდა, არაფერი ენახა, არ იცოდა, რა ზომისა იყო იქაური საფრთხე. საზღვრამდე რომ მივიდოდა, ეჭვიანად გაიხედავდა ზევითკენ, მერე თავს მკლავებში ჩაჰყოფდა და მოჰკურცხლავდა, თითქო ვინმე მოსდევს დასაჭერადაო.

მოწყალებას ყველასა სთხოვდა, მაგრამ მისი გამკითხავი კი არავინ იყო. ყველას თავის დარდი ჰქონდა, იმისთვის არავისა სცხელოდა, ყველა იმასა სცდილობდა, დღეს მშიერი არ მოვკვდეო. ვაჭრები, სულ იმის ცდაში რომ იყვნენ, ჩვენთან სავაჭროდ მოსული ტეტია გლეხები როგორ მოვატყუოთო, მეკურტნე მუშები, მძიმე ტვირთისაგან წელში ოთხად მოხრილნი, ფეხშიშველა და ძონძებში გახვეული მოსამსახურე გო-

გოები პატარა მთხოვარას ზედაც არ უყურებდნენ,—იმისთვის არავისა სცალოდა. ზოგიერთ ბატონს ქურდი ეგონა და დაინახავდა თუ არა, ჯიბეზე წაივლებდა ხელს, ხომ არაფერი ამომაცალაო, თანაც რაღაც უწმაწურ სიტყვას დაატანდა; ზოგი რიგიანად ჩაცმული, მაგრამ ღარიბი, შეჰხედავდა და მხრებს აიჩეჩდა. ზოგს კიდევ ზიზღსა ჰგვრიდა და შეუტევდა, თავიდან მომწყდი, რას ჩამციებიხარო. პირველში ხმა მაღლა, თითქმის ბრძანებითის კილოთი თხოულობდა კუჭის წვისაგან გამწარებული გოგონა ერთ სოლდოს*) პურისათვის, რადგან წინადღით პირში ნაწილი არ ჩაეშვა; მერე თან-და-თაი ხმას უდაბლებდა, ხვეწნა-ვედრებას იწყებდა, თანაც ატირდებოდა და მოკლე და გაყინული ცრემლები ლოყებზე ჩამოუგორდებოდა. იქით-აქეთ იწყებდა სიარულს ალალბედზე, რაღაც გაურკვეველ სიტყვებს ლუღლუღებდა მანამდის, სანამ ეს სიტყვებიც პირში არ გაეყინებოდა. მაშინ თვალები იწყებდა თხოვნას. საღამოზე, როცა არავინ არას მისცემდა, ისე დაიღლებოდა, ისე მოსწყდებოდა ტანში, რომ თავრეტ დასხმული ლასლასს იწყებდა. როგორც იქნებოდა, პორტა-ნოვას ეკლესიის კიბემდე ავიდოდა და გაჩერდებოდა უძრავად; მობუზული, ძონძების გუდურას მსგავსი, მიკნავებულის ხმით აკვნესდებოდა. მერე ისევ ადგებოდა, ისევ სიარულს მოჰყვებოდა. გარს ეხვია ანთებულ ლიფლიფების სინათლე, სამუშაოდან მომავალი მუშები; ცხვირშიაც საჭმელების სუნი, ნახევრად დაკეტილ დუქნებიდან გამომავალი, მაცდურად ულიტინებდა. მოხდებოდა ხოლმე, რომ ვინმე მისცემდა ორს ჩენტეზიმოს**), ან ერთ ნაჭერ პურს, ან კიდევ კატლეტის ან შიგნეულის ნაჭერს. გოგონაც შესაჭმელად გაიქცეოდა სადმე მყუდრო ალაგას, მუცლის გვრემა დავაყუჩოვო. მაგრამ ისეთი დღეებიც გამოერეოდა, როცა სრულებით ვერაფერს იშოვიდა და უჭმელად დაიძინებდა. პირის მოსატყუებლად დამპალ ფორთოხლის ან წვანე მუხუდოს პარკის ღოღნას მოჰყვებოდა. მისი საუკეთესო დღე შაბათი იყო. ამ დღეს ერთი ახალგაზდა ქალი ერთს სოლდოს აძლევდა. ყელზე აბრეშუმის წითელი ყელსახვევი ჰქონდა ამ ქალს, მისი მაღალ ქუსლიანი პანტუფლები ყვითელ ზონრით იყო შეკრული, ნელსაცხებლით გაპოხილ თმის ქოჩორში ვერცხლის სავარცხელი გ ეკეთებინა და ლოყებიც ფერით გაეწითლებინა. ეს ქალი უმეტესად ერთ კარებთან იდგა ხოლმე აყუდებული. ხელებს წინსაფარის ჯიბეებში ჩაიწყობდა და სულელურ გამომეტყველებით ცის სივრცეში იცქირებოდა· დილიდან-საღამომდე ერთსა და იმავე სიმღერას გაიძახოდა:

Spina de pesce,
Sta vita desperata quanno fenesce?

ხშირად ყოველ დღეს ბავშვი სწორედ იმის წინ გაივლიდა, მაგრამ ქალი მხოლოდ შაბათობით აძლევდა სოლდოს. ხუთისა თუ ექვსის თვის განმავლობაში ასე გრძელდებოდა, მერე ეს ქალიც სადღაც დაიკარგა,—ვიღამაც ჩააგდო, თუ თვითონ ჩავარდა ჭაში და დაიხრჩო.

კვირა დღე იყო. ბავშს ეგონა, ეს არის, შიმშილს თან გადავყვებიო, წამ-და-უწუმ ლონე ღალატობდა, მიწაზე ეშვებოდა. დუქნები დაკეტილი იყო, გამვლელნი ზედაც არ უყურებდნენ, ყველანი დიდ ქუჩებისაკენ მიემართებოდნენ და იქით ზღვით, გროვდებოდნენ. ბავშვი უაზროდ თვალს ადევნებდა მიმავალთ. პორტა-ნოვას ეკკლესიაში შევიდა. ცარიელი იყო. მისმა უშველებელმა და საშინელმა სივრცემ ტანში გააჟრჟოლა. შიშველა ფეხები მარმარილოს იატაკზე რო დააკარა, შესცივდა. მნათემ ხელი დაავლო და გარედ გაუძახა. ისიც გაიქცა დაცარიელებულ ქუჩებზე: ყველანი ზღვით წასულან და ახლა რაღა მეშველება მარტოსა და უნუგეშოსაო.

დაავიწყდა შიში და შიმშილისაგან გამწარებულმა ალღოს აღებით საზღვარს გადააცილა. გადავიდა კატალინას განიერ ქუჩაზე და წმ. ჯუზეპეს ეკკლესიის კიბეზე ავიდა. გაოცდა: ჰხედავდა იმას, რაც თავის დღეში არ ენახა, ჰხედავდა განიერ ქუჩას, სუფთა მაღაზიებს, თეთრად მოელვარე სასახლეებს, ბაღებს, ცას... ამ საკვირველ სანახაობის წინაშე მდგარს შიმშილიც კი დაავიწყდა: თვით სათამაშოების დუქანსაც გვერდით ჩაუარა. აქეთ ყველაფერი ლამაზი იყო. გაჰყვა ხალხს, მედინას შადრევანისაკენ რო მიემართებოდა. წამ-და-უწუმ შედგებოდა ხოლმე, აღტაცებული, გაშტერებული. მოწყალების თხოვნა ვიღას ახსოვდა!.. თუ აშინებდა რამე, ისევ ეტლების ხშირი მიმოსვლა, გადაჯვარედინება. ისიც ტროტუარს აღარ შორდებოდა. მუნიჩიპიოს მოედანთან ხელახლა იგრძნო დაღლილობა და ბაღის განაპირას მერხზე ჩამოჯდა. ცოტა რომ შეისვენა, ისევ ზეზე წამოდგა და სხვებს ქვევით გაჰყვა, სან-კარლოსაკენ. ამ ადგილას იმისთანა პატარა არსების დაკარგვა სრულებით ადვილი იყო. ხალხის ტალღამ სან-ფერდინანდისაკენ გაიტაცა. ვერასა ჰხედავდა, ამ ზღვა ხალხში თითქო ჩაინთქაო. დასცხა, ცოტა შვება იგრძნო. ჰხედავდა, რომ წამ-და-უწუმ ჰაერში ყვავილების თაიგულებს ისროდნენ; მერე მთელი წვიმა წამოვიდა ამ ყვავილებისა. ხალხი ხან ერთ მხარეს მიაწვებოდა, რომ გზა ეტია ეკიპაჟისათვის, რომელშიაც მშვენიერი ქალები ისხდნენ, ძვირფას ტანისამოსში მორთულნი და ყვავილებში ჩამჯდარნი. გოგონას ელვასავით ურბენდა ყოველივე ეს თვალწინ და, ცოტა არ იყოს, შიშსაც კი ჰგვრიდა. ასე კარგა ხანი გავიდა. ყვავილების სროლას უკლეს, მოსეირნეთა ჟრიამული ცოტა-ცოტათი მისწყდა, თვით ხალხიც გათხელდა. ბავშვს სულ ახლო ჩაუქროლა ერთმა მსუბუქმა აჩრდილმა ქალისამ. სადად, მაგრამ მდიდრულად იყო ჩაცმული, თეთრი სახე სულ უღიმოდა, ყურებში მსხვილი ბრილიანტები ჰქონდა გაკეთებული, ხელში კალათა ეჭირა ყვავილებით სავსე, ზოგი თაიგულებად იყო შეკრული, ზოგიც ისე, ცალ-ცალკე. ეს ქალი მეყვავილე იყო და კალათაში ფულს უყრიდა თავს.

— ქალბატონო, ქალბატონო,—დაიკნავლა ბავშმა,—ყვავილი მეც მიბოძე...

მეყვავილემ კოპწიად და მოხდენილად ბავშვს ხელში ჩაუდო ერთი მუჭა მიხაკის ყვავილებისა. გოგონამ სიხარულით გაიღიმა, ერთი ყვავილი პერანგის კილოზე გაიკეთა და გაიქცა, დანარჩენი უნდა გავყიდო, ხომ ბევრი მაქვსო. მაგრამ, დახე უიღბლობასა, იმისაგან არავინ ყიდულობდა. ერთმა სტუ-




ობლად დარჩენილნი.—სურ. უდესი.

*) სოლდო იტალიური შავი ფულია, $1^1/_2$ კაპეიკს უდრის.

**) ჩენტეზიმო—შავი ფულია, $^1/_4$ კაპეიკიანს უდრის.

დენტმა უთხრა: როცა გაიზრდები, მაშინ შეგიძლიან ყვავილები ჰყიდო ხოლმეო. ერთი ჩასუქებული ბატონიც წუწუნს მოჰყვა, რა უბედურებაა, მათხოვრები გამრავლდნენ და პოლიცია კი ყურებსაც არ იბერტყავსო! ბავშვმა მათის ნათქვამის დედა აზრი ვერ გაიგო, მიხვდა კია, რომ კარგს არაფერს ამბობდნენ მის შესახებ. არც ფეხით ეკიდებოდნენ კარგად ძონძებში გახვეულს, ფეხშიშველას, უშნოს. მისი ფართოდ დალებული თვალები, თმა აწეწილი და მხეცური თავი ყველას აშინებდა და ზიზღსა ჰგვრიდა. გულში გენია ენთებოდა, ცოცხლივ იწვოდა. ფრანგულ ფურნეს დაუმხარდახარდა. ფუნთუშებისა და ნაზუქების სუნმა დაბნიდა და ცოტას გასწყდა გული არ წაუვიდა. ყველას თავისს ყვავილებს აჩეჩებდა, უსიტყვოდ, მანქანასავით. ლაპარაკის თავი არა ჰქონდა. გულიდან სლუკ-სლუკი ჰხდებოდა. ამ დროს ერთმა ჯარის კაცმა ჩაუარა, ყვავილი გამოართვა და სამაგიეროდ ერთი სოლდო მისცა. ბავშვი ფურნეში შეტრიალდა და ამ ერთის სოლდოს პური იყიდა. ეყო. უნდოდა წასულიყო, მაგრამ შიშმა აიტანა. ეტლებისაგან სულ შეიკრა გზა. გოგოგონას თვალი აუჰრელდა. იმას კი მეორე მხარეს უნდოდა გადასვლა. რაც მომივა, მომივაო, ჩაღუნა თავი და გაიქცა; ეტლისათვის წინ ... გადაერბინა. ეტლში მჯდომმა ქალბატონმა საშინლად დაიკივლა და თან გული წაუვიდა.

ქუჩაზე, ტროტუარის ახლო, სულს უტევებდა უმანკო არსება, ფეხმოტეხილი. სიკვდილს უკანასკნელად ებრძოდა, იკრუნჩხებოდა. ყვავილები გარშემო შემოჰბნეოდა; ერთს გულთან მაგრად უჭერდა, მეორე ხელში კი პური ეჭირა. გაფითრებული სახე დასდინჯებოდა, ტუჩები ნახევრად მოეკუმა, დიდრონი უცნაური თვალები, მწუხარებით სავსე, ზეცად აღეპყრო...

თ. ს.

# თანამედროვე ტეხნიკა

## განსაცდელში მყოფ მატარებლის გადარჩენა.

რკინის გზებზედ ათასნაირი უბედურება ხდება. უფრო ხშირია მატარებლის ლიანდაგიდან გადავარდნა და დამსხვრევა. მატარებლის დამსხვრევას, რასაკვირველია, ხალხის დაღუპვა მოსდევს. ინჟენერს კირილოვს გამოუგონია ისეთი საშუალება, რომლის შემწეობითაც, თუ ვინიცობაა მატარებელი იმ დონეზედ მიდგება, რომ უსათუოდ ლიანდაგს უნდა ასცდეს, ასცდენის მაგიერ იგი მსწრაფლად გაჩერდება და, მაშასადამე, უბედურებას აღარ შეემთხვევა. ამ გამოგონებას გზათა მინისტრმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია და იმას ბრძანებით გამოსცდიან კიდეც სახელმწიფო რკინის გზებზედ.

## ელექტრონის თოფი.

ლონდონში ერთ მექანიკოსს წარუდგენია გამოსაცდელად ერთგვარ თოფის მოდელი, რომლითაც შეიძლება ერთ წუთში 28 ჯერ გასროლა. თოფი ელექტრონით მოქმედებს თურმე და ტყვიას ისვრის 3,100 მეტრის მანძილზედ. ბურებთან ბრძოლამ ისე ჩაათვიქრა ინგლისელნი, რომ იარაღის გაუმჯობესებას მიჰყვეს ხელი. ესეც საუკეთესო თოფი! ვნახოთ ეხლა საუკეთესო ზარბაზანს ვიღა გამოიგონებს!.. ერთნი ჰფიქრობენ და ათასნაირ მოწყობილებებს იგონებენ ხალხთა საკეთილდღეოდ, მეორენი კი — ხალხთა გასანადგურებლად ზრუნავენ და თავებს იხეთქენ!

გ. თოიძე.



— საით მიემგზავრებით პოლიციით?
— შეშის სასყიდლად...



— როგორ, შეშა ასტრახანიდან მოგდით? ხომ ძვირად დაგიჯდებათ!
— სრულიადაც არა! წარმოიდგინეთ, უფრო იაფადაც ჯდება, რადგან არ მატყუებენ, როგორც აქ...



ექიმ მარტიჩიანცის ახალი საშუალება ჭაერის გასასუფთავებლად.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი